# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 65 კვირა, 22 მარტი 1909 წ. № 65

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დაუ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ზავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მმ. ნიკიტინების ცირკის შენობაში

სულ ახლო მომავალში

**გაიხსნება**

თეატრი

# THE ROYAL VIO

რომელიც დაარსდა პარიზში 1895 წელს.

THE ROYAL VIO-მა ექვსი თვის განმავლობაში დიდი სახელი გაითქვა პეტერბურგში მარსის მინდორზე.

ეს თეატრი უდიდესი და უშესანიშნავესია მთელ ევროპაში.

TRADE MARK

დირექცია THE ROYAL VIO


ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 16 მარტს მეტეხის ციხეში გარდაიცვალა სტუდენტი

**ბორის ივანეს ძე პროზინი,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და მეგობრებს განსვენებულის ნათესავები. პანაშვიდი კვირას, 22 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში.

(2—უ.—2)

გულითად მადლობას ვწირავ ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობა გამოუცხადა დეპეშით, წერილებით თუ პირადის ნახვით ჩემ ძვირფას მეუღლის

**ილია აბრამის ძის ზარაფიშვილის**

გარდაცვალების გამო. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი თელავის სამღვდელოებას, შუამთის მონასტრის და წმ. გიორგის ბერებს და ყველა იმათ, რომელთაც პატივი მცეს პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე დასწრებით.

**სოფიო პაატის ასული ზარაფიშვილისა.**

კვირას, 22 მარტს, დილის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცის პანაშვიდი

**შურასი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ნ. დ., ო. ფ. პიშკანა და ბ. ს. ლებედევა.**

(1—ნ.—1)


## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ქქსმა ძისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი საძ ფუთ ნახევრიდან ოთხფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფ ია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილეს დიმიტრიადთან და მქვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან.

(23—121—8)

## საკანდიტერო და საბულკე გრიგოლ საგანელოვისა.

(პუშკინის ქუჩა).

აქვს პატივი აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მომავალ სააღდგომო დღესასწაულისთვის მზადდება მრავლად **პასქები, კულიჩები, ტორტები, ყველის პასქები და მაზუკები.** კისრულობს აგრეთვე ყველა ამის დამზადებას პოლკებისა და სასწავლებლებისთვის. ყველაფერი საუკეთესო სანოვაგისაგან კეთდება. ფასები ზომიერია. ჩვენს საკანდიტროში არის დიდი ძალი **სააღდგომო საჩუქრები.** იქვე იყიდება **პასქის ფქვილი** (ფუთი 3 მან.) ყოველ დღე ახალ-ახალი ზამი (დროჟი) კ. გ. შურას ზავოდიდან.

(1—169—1)

**ბახმაროს** (ოზურგეთის მაზრა) **მომხმარებელ საზოგადოების**

## „ტ-ა-ნ-მ-რ-თ-ე-ლ-ო-ბ-ა“-ს

გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პირველ აპრილს ამა წლისას, დილის თორმეტ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ეტლთა ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია **ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ა,** რომლითაც გაიცემა იჯარით აგარაკ ბახმაროში. ამა 1908 წლის სეზონის განმავლობაში, საზოგადოების შემდეგი სავაჭროები:

1. სასადილო სახლი თავის მებელითა.
2. საბაკალეინო სავაჭრო სახლი.
3. ორი პურის საცხობი ფურნე.
4. კეგლი.

ვისაც სურს აღნიშნულ სავაჭროების აღება ამ სეზონში, ის უნდა გამოცხადდეს ქ. ოზურგეთში 1 აპრილს თავისუფ. ეტლ. ამხ. კანტორაში.

გამგეობის წევრნი ( **დ. ზ. ცეცხლაძე. მღ. მ. ქავჟარაძე. დ. ზ. თალაქვაძე.**

(3—ნ.—2)

მიღებულია

## აბრეშუმის თესლი

ყვითელ ფრანგულ ჯიშისა უმაღლეს თვისებისა.

**ა. დიუმა** მიხეილის პროს.. № 140. ეზოში.

(5—ნახყ.—5)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბოროდინის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—107)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—84)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 24)

**ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსენატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—88)

ახლად გახსნილი ტფილისის

## პერძო სამკურნალო

გარდან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—ნ.—19)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოიოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

(100—ნ.—21)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—38)

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი მ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

## ს. მესხის ნაწერები

ავტორის სურათით და ავტოგრაფით წიგნი შეაცავს დიდი ფორმატის 533 გვ. წინად ღირდა **1 მან.** და ეხლა **30 კაპ.**

იყიდება ხელის მოწერით ამ თვის ... ლევამდე პროვინციაში ჟურნალ-გაზ. ... ბის აგენტებთან და ტფილ. წ. კ. საზოგ. მაღაზიაში და „ხორაპნის“ ამხანაგობაში.

(3—უ.—2)


## წ.-კითხვის საზოგადოების

გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვს ფულის შესაგროვებლად „საზოგადოების“

## ყულაბები

აუცილებლად დააბრუნოს ამა წლის მაისის პირველამდის. (5—უ.—2)


**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ხონში ქირავდება აბრეშუმის ამოსაღები ქარხანა და პარკის სახჩობი და სახმობი ფარდული სანოძისა.**

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ონისიმე ოტიას ძე ვარდოსანიძესთან (ფოსტაში) და ხონში კბილის ექიმ ქ-ნ სანოძესთან, საკ. სახლი. (10—კვ.—2)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.**

## „კოლხიდაში“

იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерна) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი“** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საპირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **ვ. მ. ჩივაძისაგან.** (20—ნ—11)


## ტფილისი, 22 მარტი

რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციის წრეებში ამ ჟამად მეტად საინტერესო დავაა. დავა შეეხება ნაციონალურ საკითხს. რა თქმა უნდა, ნაციონალური საკითხი გაბატონებულ ერის წარმომადგენელთა გონებაში სულ სხვა გვარად ისახება, ვიდრე იგივე საკითხი პოლიტიკურად დამონავებულ ერის წარმომადგენელთა თვალში. გაბატონებულ ერის შვილისთვის ნაციონალურ საკითხს ძლიერთა თავმოყვარეობის ხასიათი აქვს, დაბეჩავებულ და დამონავებულ ერის შვილისთვის კი იმავე საკითხს შეურაცხყოფილ და დაუძლურებულთა მისწრაფების ხასიათი აქვს თანასწორობისაკენ. ეს არის ძირითადი განსხვავება ნაციონალურ საკითხის შეგნებაში და იგი განსხვავება ცხადად ეტყობა რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციის სალიტერატურო წრეებში ამ ბოლო დროს ატეხილ კამათს.

საყურადღებოა, რომ ჩვენს დრომდე რუსეთის ინტელიგენციის მხოლოდ ის ნაწილი აცხადებდა თავის თავს ნაციონალისტად, რომელიც ბიუროკრატიასა და შეძლებულ კლასსებთან დაახლოვებული იყო. ნაციონალისტი იყო თავის დროს ცნობილი კატკოვი, ნაციონალისტი იყო და არის „ნოვოე ვრემიას“ სალიტერატურო წრე, ნაციონალისტობა დაიჩემეს ოქტომბრისტებმა, ზომიერმა მემარჯვენეებმა და მემარჯვენეებმა, ე. ი. ბიუროკრატიის, ბურჟუაზიის და აგრარიების სულის სწრაფვათა გამომხატველმა წრეებმა. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ათვალისწუნებით უცქეროდა ნაციონალურ საკითხს რუსეთის სოციალდემოკრატია, რომელიც რუსეთისთვის ხსნას და შველას კაპიტალიზმის რაინდებისაგან ელოდდა და ელოდება დღევანდლამდე. როგორც ამ ფაქტებიდანა სჩანს, რაღაც განუყოფელი კავშირი არსებობს სახელმწიფოში გაბატონებულ ელემენტების მსოფლმხედველობისა და ნაციონალიზმის შორის.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციის წრეებში ნაციონალიზმმა სწორედ ჩვენს დროში იჩინა თავი, როცა ამ ინტელიგენციის ერთი ნაწილი აშკარად ჰქადაგებს, სულიერად უნდა შევიცვალოთ და ჩვენი თანაგრძნობა მიუძღვნათ არა დავრდომილთა და უძლურთ, არამედ ამა ქვეყნის ძლიერთაო. გასულ წლის დასასრულს რადიკალური რუსული ჟურნალი „რუსკაია მისლი“ სწერდა, მთელი ჩვენი გულისყური და მხნეობა სამხრეთს რუსეთს უნდა მივაქციოთ, რათა იქ „დიდი რუსეთი“ შევქმნათ და ავაყვავოთო. ეს „დიდი რუსეთი“ გულისხმობს რუსულ ეკონომიურ ძლიერებას ვაჭრობასა და მრეწველობაში, ე. ი. ბურჟუაზიის ზრდას. ამ იდეის მედგარი მქადაგებელი შარშან ცნობილი პეტრე სტრუვე იყო, რომელიც ოდესმე რუსეთის სოციალდემოკრატიის ამომავალ მზედ ითვლებოდა, შემდეგ კადეტების პარტიის ერთ-ერთ ბურჯად იქცა და ეხლა კი ბურჟუაზიისაკენ მიექანება. სწორედ ამ ცნობილმა პეტრე სტრუვემ ჩამოაყალიბა ეხლა ხან ახალ მოდგმის რუსულ რადიკალურ ინტელიგენციის შეხედულება ნაციონალიზმზე, როგორც „მიმზიდველობის და უკუგდების“ პსიხოლოგიაზე. ბ-ნს სტრუვეს ერთმა მწერალმა ყოველ ახალ რუსულ მიმართულების ნათლია უწოდა. აი ეს ახალ მიმართულებათა ნათლია ქადაგებს ეხლა „რუსულ ნაციონალურ სახის“ დაპირისპირებას სხვა ერთა ნაციონალურ სახისთვის.

ბ-ნი სტრუვე, რა თქმა უნდა, ერთად-ერთი ამსრულებელი არ არის ამ ახალის „მიმზიდველობისა და უკუგდების“ ნაციონალისტურ სიმფონიისა. მას ბევრი ამხანაგი ჰყავს, ზოგი ცხადი და უფრო მეტი კი ფარული. ამ კომპანიის წევრებს ისეთი რადიკალური წარსული აქვთ, რომ სინიდისი მათ ნებას არ აძლევთ პირდაპირ იქადაგონ მძულვარება იქ, სადაც წინად სათნოების და სიყვარულის მოციქულებას ეწევოდნენ. სტრუვეს და მის თანამოაზრეებს არ ეხერხებათ, მაგალითად, ანტისემიტობა (ებრაელთა საწინააღმდეგო მიმართულება) დაიჩემონ, რადგან ჯერ ისევ ირგვლივ ყველაფერს, უსულო საგნებსაც კი ახსოვთ, რომ ისინი სწორედ ანტისემიტობას ებრძოდნენ, და ამიტომ ანტისემიტობის ნაცვლად ქადაგობენ ა—სემიტობას, ე. ი. ყურის მოყრუებას და თვალის დახუჭვას ებრაელთა საკითხის არსებობის წინაშე. რა თქმა უნდა, არსებითად ასემიტობა და ანტისემიტობა ერთი და იგივეა. ვ-ნ იცის, იქნება დაჩაგრული ერის საკითხის უარყოფა უფრო უარესიც იყოს, ვიდრე თვით ამ ერის წინააღმდეგ პირდაპირ ამხედრება. ერთ უკრაინელ საზოგადო მოღვაწისაგან გაგვიგონია, რუსეთში ყველაზე მეტად მალოროსები ვართ დაჩაგრულნი: ჩვენ ისე აბუჩად ვართ აგდებული, რომ ეგონებ არსებობასაც კი არ გვთვლიანო.

რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციის ეხლანდელი პოზიცია ნაციონალურ საკითხის შესახებ, რამდენადაც ამ პოზიციას პეტრე სტრუვე და მისი თანამოაზრენი არკვევენ ჩვენთვის ორის მხრივ არის საგულისხმო. ერთის მხრით ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ინტელიგენციის რადიკალიზმს თუ გარეგანი მოკაზმულება ჩამოეცალა, დავინახავთ, რომ გულის და სულის სიღრმეში რუსეთის რადიკალებიც არა რუსთა მიმართ შოვინიზმით ყოფილან გამსჭვალულნი. მეორეს მხრით კი ვხედავთ, რომ ვინც რუსეთის ბურჟუაზიის ზრდაზე ამყარებს თავის პროგრესიულ იმედებს, იგი აუცილებლად ზურგს უქცევს რუსეთში მცხოვრებ არა რუს ერებს და მათ საწინააღმდეგოდ „რუსულ ნაციონალურ სახის“ გაშლას ეტრფის. განსაკუთრებით საგულისხმოდ მიგვაჩნია ეს იდუმალი კავშირი რუსეთის ბურჟუაზიის ზრდისა და ნაციონალურ შოვინიზმის შორის. ჩვენის აზრით, ამ იდუმალ კავშირის მატერიალური შინაარსი ის არის, რომ რუსეთის ბურჟუაზიის ზრდა და განვითარება გულისხმობს, როგორც თავის აუცილებელს პირობას, სახელმწიფოს მიერ რუსეთში მცხოვრებ არა რუს ერებს ეკონომიურ ექსპლოატაციას რუსეთის ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეს მატერიალური შინაარსი ასაზრდოვებდა და ასაზრდოვებს რუსეთის გაბატონებულ კლასსების ნაციონალურ შოვინიზმს და იგივე მიზეზი აძლევს რუსულ ნაციონალისტურ ელფერს ყველა იმ მიმართულებას, რომელიც ბურჟუაზიის ზრდისაგან მოელის რუსეთის პოლიტიკურს განახლებას.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 მარტი

**ბ ო ლ გ ა რ ი ა**

**ბელგრადი.** მთავრობამ დაითხოვა სათადარიგო ჯარი, რომელიც სასწავლად იყო შეგროვილი.

**ბერლინი.** რუსის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, ბერლინის ტრაქტატიდან გამორიცხულ იქნას მე-25 მუხლი. ამის გამო გაზეთი „ნორდდეიტშე - ალგემეინე - ცაიტუნგი“ სწერს: საზღვარ-გარეთის პრესსაში ხმა გავრცელდა, ვითომ რუსის მთავრობამ თანხმობა განაცხადა გერმანიის მუქარით; ვითომ გერმანია მობილიზაციით დამუქრებოდეს. ბერლინის ტრაქტატის შეცვლა ყველა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს. სერბიას წესიერად არ იქცეოდა. სახელ-

მწიფოებმა რამდენჯერმე მოსთხოვეს მას, დამორჩილებოდა საერთო სურვილს. რადგან სერბიას საბუთი აღარა ჰქონოდა ეთქვა, რომ სახელმწიფონი ბოსნიის ანექსიის წინააღმდეგნი არიანო, გერმანიამ მეგობრული რჩევა მისცა რუსეთს, თანხმობა განეცხადებინა ანექსიაზე. რუსეთის მთავრობა კარგად მოიქცა; ეს იქიდანა სჩანს, რომ სხვა სახელმწიფონიც შიემხრნენ გერმანიის აზრს. მაშასადამე, არავითარი მუქარა აქ არა ყოფილაო.

**საზღვარ-გარეთ.**

**ლონდონი.** გენერალ კიტჩენერის ადგილას ინდოეთის ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა გენერალი კრიგი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო პირველი მუხლი იმ კანონ-პროექტისა, რომელიც ფლოტის რეორგანიზაციას შეეხება.

**მიუნხენი.** გუშინდელი ქარიშხალი, რომელმაც ცეპელინის ჰაეროსტატი სხვა გზით წაიღო, იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგან ტელეგრაფის ბოძები წააქცია. მიუხედავად ამისა, 20 მარტს ცეპელინი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

**ბერლინი.** დილით, ბესელის ქუჩაზე, ფრიდრიხშტარხეს მახლობლად, ვიღაც უცნობი დაეცა ფოსტალიონს. ფოსტალიონი დაიჭრა. უცნობმა გაიტაცა 600 მარკა.

**ლინგოლფინგი.** დილის 11 საათსა და 15 წუთზე ცეპელინი თავის ჰეროსტატით მიუნხენისკენ გაფრინდა.

**მიუნხენი.** ცეპელინი შუადღის 1 საათსა და 45 წუთზე მშვიდობიანად დაეშვა სამხედრო მინდორზე. დაშვებას დაესწრნენ პრინცი—რეგენტი, პრინცები, პრინცესები და აუარებელი ხალხი.

**მიუნხენი.** შუადღის 3 საათსა და 36 წუთზე ცეპელინი თავის ჰეროსტატით კვლავ გაემგზავრა სამხრეთდ სავლეთისკენ. ჰაეროსტატის აშვების დროს უკრავდა მუსიკა. დამსწრენი ალტაცებით მიეგებნენ ჰაერში მფრენავთ.

**რ უ ს ე თ ი**

**სამარა.** ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მემამულის სახლ-კარის და არყის ქარხნის აკლების შესახებ. ეს ამბავი 1905 წელს მოხდა და ზარალი 300 ათას მანეთზე მეტი იყო. სასამართლომ მიუსაჯა: 7 კაცს—ტუსაღთა განყოფილება, ერთს ერთი წლით, 125 კაცს რვა თვით და ერთსაც ექვსი თვით დაპატიმრება. 85 კაცი სასამართლომ გაამართლა.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი ჟურნალ „მიწა და ხალხი“-ს, ყოფილ რედაქტორის გრომანიშა, რომელსაც პალატამ სამი წლით დაპატიმრება მიუსაჯა. მიზეზი წერილების დაბეჭდვაა, რომელიც გლეხებს მოუწოდებდა, არ მიეცათ მთავრობისთვის გადასახადები.

სენატშივე გაირჩა საკასაციო საჩივარი „ბილოე“-ს ყოფილ რედაქტორის შჩეგოლევისა, რომელსაც პალატამ სამი წლით დაპატიმრება მიუსაჯა წერილის მოთავსებისთვის ამ სათაურით: „ძირითადი საფუძვლები ხალხის თავისუფლებისა“, რომელიც მოუწოდებდა ხალხს ასაჯანყებლად. ბრალს სდებდა ობერ-პროკურორის ამხანაგი ზალესკი; ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები: მაკლაკოვი და ანდრეევსკი. რეზოლიუცია გამოტანილ იქნება 23 მარტს.

**ოდესსა.** აქ მოვიდა იაპონიის პრინცი კუმი.

**პროსკუროვი.** წყალი ძალზე მოდიდდა. ხალხი დიდ შიშშია.

**ვარშავა.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე 13 კაცისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1906 წ. კათოლიკებსა და მარიავიტების შორის მომხდარ შეჯახებაში, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა 8 და დაიჭრა 250 კაცი. სასამართლომ ათს ოთხი წლით კატორგა მიუსაჯა, ხოლო სამი გაამართლა. ამასთან იშუამდგომლა, რომ დამნაშავეთ კატორგა 1 წლით დაპატიმრებად შეეცვალოთ.

**პეტერბურგი.** სინოდის განმარტებით, მონასტრების და სხვა უმრევლო ეკლესიების მღვდლებს, რომელნიც საეპარქიო საჭიროებებისთვის ხარჯს იღებენ, უფლება აქვთ საეპირქიო და საოლქო-სამოსწავლო კრებების დეპუტატებად იქმნენ არჩეულნი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

**ეკატერინოსლავი.** კაიდაკში, ქალაქ გარეთ, ორმა დარაჯმა შენიშნა სამი საეჭვო კაცი და შეიპყრო. შეპყრობის დროს ერთი მათგანი მძიმედ დასჭრეს, მეორე მსუბუქად.

**პეტერბურგი.** როგორც დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, გოგოლის ასი წლის იუბილეის ყველგან დიდის ამბით ჩაუვლია. გადაუხდიათ პანაშვიდები, გაუმართავთ სალიტერატურო დილა-საღამოები, დაუდგამთ წარმოდგენები, დაურიგებიათ წიგნაკები. იუბილეიში მონაწილეობა მიუღიათ სასწავლებლებს, საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს და სხვებს. კიევში აკურთხეს გოგოლის ძეგლი, რომელსაც დაესწრო მისი ძმის წული ქალი. ბევრგან სასწავლებლებს დაარქვეს გოგოლის სახელი, ბევრგან სამკითხველოებს და ქუჩებს. სოფიაში (ბოლგარია) საიუბილეო წარმოდგენაზე დასდგეს „რევიზორი“. მოსკოვში, დანილის მონასტერში, სადაც გოგოლია დაკრძალული, წირვა-პანაშვიდი გადაიხადა მიტროპოლიტმა. საფლავი შეამკეს ვერცხლის და დაფნის გვირგვინებით მოსკოვის და პეტერბურგის ქალაქის თვით-მართველობებმა, სამხატვრო და სხვა თეატრმა, მოსკოვის სასწავლებლებმა, მოსკოვის უნივერსიტეტმა, სახალხო უნივერსიტეტმა, წერა-კითხვის საზოგადოებებმა, გოგოლის ნათლულმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა და სხვებმა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირომ 20 მარტის სხდომაზე რამდენიმე საქმე განიხილა და დაიშალა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 7 აპრილისთვის.

## ქართული თეატრი

ქართული თეატრი დიდ გაჭირვებაშია. ჩვენ თეატრს ისეთი კრიზისი, როგორშიაც ეხლაა, თითქმის არასოდეს არ განუცდია. სამოცი წლის არსებობის შემდეგ თითქოს შესწყდა ქართული თეატრის მაჯის-ცემა. ხალხი, საზოგადოება თითქმის აღარ დაიარება ქართულ თეატრში. რა არის მიზეზი? რამ გამოიწვია ასეთი კრიზისი?

განვიზრახეთ ამ მიზეზების გამოსარკვევად—ჩვენ გაზეთში ადგილი დავუთმოთ ყველა იმათ წერილს, ვისაც ქართულ თეატრისთვის გული შესტკივა და ვისაც სურვილი აქვს თავის აზრითა და გამოცდილებით დახმარება გაუწიოს თეატრის აღორძინების საქმეს. ქვემოდ ვბეჭდავთ პირველ წერილს „დროა გონს მოვიდეთ“! ჩვენ აზრს ქართული თეატრის დაქვეითების მიზეზთა შესახებ შემდეგ გაუზიარებთ მკითხველებს, ეხლა-კი ვიტყვით, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის აზრს, ვითომ ქართული თეატრის დაქვეითების თავი და ბოლო ინტრიგა იყოს. ჩვენის აზრით, მიზეზი უფრო ღრმა და რთულია.

—

**დროა გონს მოვიდეთ!**

დროა გონს მოვიდეთ! ერთი უსაჰიროესი კულტურული დაწესებულებათაგანი დაღუპვის გზას დაადგა. ეს გახლავთ ქართული თეატრი. ვერც ახალმა თეატრმა უშველა ქართულ სასცენო ხელოვნების აჰყვავებას. დიდი იმედი, რომელიც დამყარებული იყო 1908—9 წლ. სეზონზე, არ გამართლდა. ის საზოგადოება, რომელიც ამ უკანასკნელ სეზონამდე დაიარებოდა ქართულ წარმოდგენებზე, ნელ-ნელა შორდება და შემდეგში უარესს უნდა მოველოდეთ. რა არის მიზეზი? საზოგადოების გულ-გრილობა? სრულიადაც არა! ქართველი საზოგადოება ყოველსავე კარგს სიამოვნებით ეტანება. სუსტი დასის ყოლა? არც ეს არის მართალი. იშვიათად ესტუმრება ტფილისს ისეთი დრამატიული დასი, როგორიც არის ქართული. მართლაც დარად ჩამოშორდება საზოგადოება იმისთანა დასს, სადაც არიან ვ. აბაშიძე, ვ. მესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ ჩხეიძე, ტ. აბაშიძე და სხვანი. არა, მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. საქმე ის არის, რომ ყველა მათგანი ცალკე კარგია, მაგრამ საერთო შეთანხმებული მუშაობა კი მათში იშვიათი ყოფილა და არის.

მთელი ბოროტება იმაშია, რომ ქართველ მსახიობთა შორის იმ თავით ამ თავამდე გამეფებულია ინტრიგანობა, რაშიაც დიდი უნარი გამოიჩინა ზოგიერთმა მსახიობმა. ქართული სცენა გადააქციეს საჯირითო მოედნად და რომელიც გაიმარჯვებდა, ის იყო ბატონი და როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა თეატრის საქმეს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ხან ერთი ნიჭიერი მსახიობი ჩამოშორდებოდა ხოლმე სცენას, ხან მეორე. რა მდგომარეობაში იყვნენ ახალ-გაზდა მსახიობნი? ისინი კოზაკივით შუაში იჭყლიტებოდნენ. არა ჰყვანდათ პატრონი, გზის მაჩვენებელი და იყვნენ და არიან ერთს წერტილზე გაჩერებულნი. რომელ ახალ-გაზდა მსახიობზე შეიძლება ითქვას, რომ იგი შემდეგში თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს ქართულ სცენაზე? არც ერთზე! ან როგორ უნდა წავიდნენ წინ, როდესაც ისეთი ატმოსფერაა შექმნილი ქართულ სცენაზე, რომელიც ყოველსავე მხნეობასა და მეცადინეობას უხშობს ახალგაზდა მუშაკს! და ამის გამო ბევრი ჩამოშორდა სცენას და ვინც დარჩა, დიდხანს არ შერჩება, რადგან ხელოვნებამ ჩვენის არტისტებისათვის თითქმის მიუწდომელ წერტილამდე მიაღწია. იგი თხოულობს ნამდვილ სერიოზულ და განვითარებული მსახურთ, ასეთები კი ჩვენ არა გვყავან და არც გვეყოლებიან, თუ დროზედ არ მივაქციეთ ყურადღება და დროზე არ მოვაცილეთ ის ღვარძლი, რომელიც აფერხებს ქართულ სცენის განვითარებას. იქ, სადაც ერთგული და შეთანხმებული მუშაობა არ არის, საქმე წესიერად ვერ წავა. ნუ თუ მარტო იმ ერთ ხანას შეეძლო აბაშიძეების, გაბუნიასი, მესხიშვილის და სხვათა მოცემა? ტყუილია! სხვა ხანაშიაც შეიძლებოდა დაბადებულიყო ნიჭი, მაგრამ ქართულ სცენაზე იგი ვერ გაშლიდა ფრთებს, რადგან იქ გამოჩნდებოდა მესაფლავე, რომელიც ამაყად დასძახებდა: „მე მესაფლავე ვარ და ბევრს ნიჭს დავმარხავო!“ ამიტომაც ამ სასაფლაოს ყველა გაურბოდა. მაშ თუ არ ასეთს პირობებს, რას შეეძლო ქართულ სცენის ასეთი დაქვეითება?

შეიძლება სთქვან: ნიჭი თავისას მაინც არ დაიშლის და სადმე მაინც გაშლის ფრთებსაო. მართალია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ქართველ მსახიობს არა აქვს ფართო სამოქმედო ასპარეზი. ერთად-ერთი ტფილისის სცენაა, სადაც უნდა გამოიჩინოს თავისი სასცენო ავლადიდება და თუ აქ იგი შებორკეს, სხვაგან ვერსად ვერ იჩენს თავს.

რომელ სეზონს დამისახელებთ ისეთს, რომ რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყოს მსახიობთა შორის. ძალიან იშვიათად ყოფილა ასეთი სეზონი. ხან ერთი მსახიობი იყო იძულებული გასულიყო დასიდან, ხან მეორე და ხან კიდევ იყოფებოდნენ ორ დასად. ავიღოთ თუნდა ეს უკანასკნელი, ვითომდა განახლებული, სეზონი. როგორც გამოირკვა შათირიშვილი და გედევანოვი არ არიან დასში, თუმცა ესენი აუცილებლად საჭირო ძალას წარმოადგენენ ქართულ დრამატიულ დასისათვის. ამას გარდა სამსახურისათვის თავი დაუნებებით ახალგაზრდა მსახიობთ ი. ივანიძეს, ა. იმედაშვილს და ი. ქივიძეს. შეიძლება, ამ გარემოებას, გარეგნულად რომ შევხედოთ საქმეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, მაგრამ თვითონ ფაქტი დიდ-მნიშვნელოვანია: რამ აიძულა ისინი, რომ სამსახურისათვის თავი დაენებებინათ, როცა თვითონვე განაცხადეს სურვილი დასში ყოფნისა? აი თუნდა ამ ფაქტს ჩავჰკიდოთ ხელი, რომ მივაგნოთ იმ ადგილს, სადაც არის ძაღლის თავი ჩამარხული და ძირიანად ამოვგლიჯოთ, თორემ [illegible] ბევრი სხვაც გაექცევა. ეს [illegible] მან უწყლოდ იდევს [illegible] ამის გამოკვევა და, უეჭველია, ის მსახიობნი, რომელნიც თავს უკმაყოფილოდ ჰგრძნობენ, ხმას ამოიღებენ და ბევრს რასმეს გამოაშკარავებენ. თორემ თუ ყური მოვიყრუეთ, ქართული თეატრი უფრო დაეშვება უფსკრულისაკენ და დაიღუპება. და თუ ეს მოხდება, ისევ ისა სჯობია ეხლავე მოისპოს ქართული წარმოდგენები იმ დრომდე, ვიდრე სრულიად განახლებული ძალა არ ჩაუყრის საძირკველს და არ მოუპოვებს ქართულ სცენას მტკიცე და სასურველ ნიადაგს. სხვა არა იყოს რა, ის სუბსიდია, რომელიც ქართულ დასს ეძლევა ყოველ-წლიურად თავად-აზნაურობისაგან, უფრო სასარგებლო იქნება, რომ ქართულ სცენისთვის მომავალ ძალების მოპოვებას და მომზადებას მოხმარდეს.

იმედია, თვით მსახიობნი, რომელთაც მართლა გული შესტკივათ ქართულ სცენისათვის და ფიქრობენ მის კეთილ-დღეობაზე და არა პირად ამაღლებასა და სხვების დაჩაგვრაზე, ამოიღებენ ხმას და ამით დიდს სამსახურს გაუწევენ თავიანთ მშობლიურს სცენას.

**შინაური.**

## ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **შეკითხვა სათათბიროში ეპ. კირიონის შესახებ.** გაზეთ „სლოვო“-ს სიტყვით, ოპოზიციას სათათბიროში შეკითხვა შეაქვს ქართველ სამღვდელოების, საზოგადოდ, და ეპ. კირიონის, კერძოდ, დევნის შესახებ.

✦ **შუამდგომლობის არ შეწყნარება.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კავკ. ნამესტნიკმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ხაზინამ იკისროს იმ ფულის გადახდა ($2\frac{1}{2}$ მილიონ მანეთის), რომელიც ამიერ-კავკასიის საერობო დარ[ა]ჯის შენახვას უნდება. მინისტრთა საბჭოს, როგორც „ტფ. ლ.“-ს გაუგია, ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

✦ **ახალი რკინის გზა ამიერ-კავკასიაში.** მთავრობას განუზრახავს რკინის გზის გაყვანა ბორჯომ...

---

## გოლგოთაზე

სპეტაკ სულით შეუდრეკელით
ის კაცთა შორის მიმოდიოდა,
უფლის ათს მცნებას იქ იგულებდა
და იმის პოვნას მათში ფიქრობდა!

—

დიდ-ხანს იარა, მაგ ამ ამაოდ...
და მოესმა მას ხმა ზეგ[ი]ური:
„ჰპოვებ რაც გინდა, ადი გოლგოთას,
„არ გაიტეხო აროდეს გული!“

—

და შეუდგა ის მთასა უფლისას,
მიდის, თან მიაქვს წამების ჯვარი,
ზოგი ქვას ესვრის და ზოგი ტალახს,
ესმის დემონის სიცილ-ხარხარი!

—

მაგრამ ის მიდის, მიდის თამამად
და რა ავიდა მთასა წმინდასა,
შვებისა ცრემლი ზედ დააფრქვია,
გადაეხვია წამების ჯვარსა!

—

„აღსრულდა, — სთქვა მან. — ვპოვე
უფალი“.

და მუნ შეაღო ბჭენი ტაძრისა,
ა[ი] უკვდავებას შევუერთდები
დიდი ხნის მგზავრი ტანჯული გზისა!

—

მაგრამ უეცრად გავარდა მეხი,
ძირს მიწა იძრა და იქ, მაღლა ცა,
დაემხო ღმერთი, მის უკვდავება
გაჰქრა, წავიდა, მტვრად გადაიქცა!

—

იგივ სიჩუმე, იგივ წყვდიადი,
მხოლოდ მოისმის დემონთ ხარხარი
„ამაოება, ამაოება!“
კვნესის, ქვითინებს გლოვისა ზარი.

**ი. ევდოშვილი.**

* * *

არე-მიდამო თოვლის ფიფქით შესუდრულიყო,
ყინვის უჟვარჯვენს შეეკუმშა ბუნების გული.
ტყე-ველ-მინდორი საცოდავად გაძარცვულიყო,
ოდესღაც ნაზად მობიბინე, ახლა ჯვებული.
მნათობთა მეფეს, ცხოვლ-მყოფელ სხივს,
სხივ დიადსა,
შავი ღრუბლების მძიმე გროვა ეფარებოდა;
ბნელი ზეწარი გაეშალა ფართოდ წუვდიადსა,
სიცოცხლეს ძალა ჩუმად, ნელა ეპარებოდა.
სდუმდა მთიურად ყოველი არსი სასო-მიხდილი,
მყუდროებაში ჩაფლულიყო ცისა სამყარო
აღარ ისმოდა აღარც კვნესა, აღარც ტირილი,
უიმედობას გაეგინა ცრემლისა წყარო...

—

ცივმა ნიავმა გაბედულად გაისისინა,
ხის ტოტი ოდნავ შეარხია, წელში გამართა.
შავ ღრუბელს ეცა, შეუქროლა და შეუსტვინა,
შემოახია მკერდი და შიგ შეინავარდა.
მზემ სხივი სტყორცნა გარღვეულსა ღრუბლისა
მკერდსა,
გზა გაიკაფა სოფლისაკენ და ჩამქრალ მიწას
მიესალმა, დაუამა წყლული უმწეს
და მიანათა ობლად შთენილ მწვანე ფოთოლსა.
მაგრამ ღრუბელმა გაიმრთელა მკერდი დაჭრილი
სხივთა საფრქვევად მზეს დაუხშო სოფლისკენ
კარი ..

ფოთოლი დაჭკნა, მოლი ხმება ზედ თოვლ-
წაყრილი
და კვლავ მაგრდება ყინვის ტახტზე მკაცრი
ზამთარი.

—

ჩუ! ქარი იწყებს ზუზუნსა,
მოშხუის გაავთრებული;
ტყე ახმაურდა, აღრტვინდა,
ბობოქრობს აღტყინებული.
ტოტები მხუილ-ხუილით
ურთი-ერთს ესალმებიან,
ზურგიდან თოვლის მძიმე ტვირთს
იბერტყენ, მსუბუქდებიან.
იწყება. ცისა კიდური
ელვამ დაჭვხაზა, დაჭსერა
და ქარიშხალმაც გიჟურად
მრისხანედ შემოუბერა.
შავ-ღრუბლის გროვა დაჭფლითა,
ჭაერში აათრიალა,
ცისა ტატნობი დაფარდი
გასწმინდა, გააშრიალა.
მზემ სხივთ ისარი მოტყმართა,
გაჭქრა და გაჭქრა ღრუბელსა;
მთის მწვერვალი მოალბო
და მოაშუქა სოფელსა.
ბნელ-უკუნეთი გაქრა,
თოვლ-ყინვას ცრემლი ადინა
და კლდის ნაპრალზე ჩუხჩუხა [illegible]
[illegible]
[illegible]
ვარდი ჰყვ[illegible]
[illegible]
[illegible] ბულბული.
ტყე-ველი აახურმუხტა,
აბიბინა მთა-ბარი,
გაზაფხულს ტახტი დაუდგა,
დაასამარა ზამთარი.

**ი. პარნაველი.**

## კვნესა გულისა

ვით[ა] ფოთოლსა
გა[ყ]ვითლებულსა,
ჩ[ამ]ქკნარ ობოლსა,
გულისა ტოლსა,
ულვთოდ მოწყვეტილს
იტაცებს ქარი,
აგრეთვე მეცა
ამ წუთი სოფლად
მდევნის მიწა-ცა,
ვრბი მთა და ველად
გაჭრილი ხელად
მარტოდ და ობლად.

—

გულსა
გვემულსა
სულს
დაკნინებულს
არ აქვს საფარი.

—

თვალთ ცრემლთა ფრქვევით
მუხლებზე ხოხვით
ღვთისმიმლოცვით
გამიშრა ხახა,
მაგრამ ამაოდ,
ოჰ, უსასოოდ
ჩემდა სამუხთლოდ
ქაჯმა რისხვითა
გადიხითხითა,
მავნეთ დამძახა.

—

გულსა
ვნებულსა,
დამცირებულსა,
დამწუხრებულსა,
არ აქვს მშვიდობა.

—

ნუგეშის ალგვა
წამება, დაგვა—
აი რა მიძღვნა
ბედმა მუხთალმა
სხვის ნუგეშ-თვალმა
ჩემთვის დამქრალმა
ბნელ ძალთა ძალმა.

**გოგია უიშვილი.**

## NOCTURNE

„მარტო ვარ, მარტო ვმღერი“,
ბანის არ ვინ მყავს მთხრობელი,
ჩემს სიბეჩავეს ველარ ჰგრძნობს
ქვეყანა დაუნდობელი...
არ ელალატნოს საწუთროს
სხვა ვინ ყოფილა, რომელი?!

—

თავი მომქონდა ბიჭობით,
შევსტრფოდი ვარდს და იასა,
ცას ქუდად აღარ ვკმარობდი,
ვარსკვლავ-ციმციმა, მზიანსა,
გონების თვალით ვწვდ[ე]ბოდი
ქვეყ[ნ]ის გულ-ღვიძლს და წიაღსა.

—

ხან აქ გავკრავდი, ხან იქა
კვეს-აბედს ჩაგრულთ კერასა,
მწყუროდა შევწირებოდი
მომძმეთ შავ-ბედითს წერასა,
მათვე ვუძღვნიდი ამაყი
ჩემის ჩონგურის ჟღერასა...

—

ვაჰმე! გაჰქრა ერთბაშად
ტურფად ნაგები ტაძარი...
დასჭკნა ყვავილი, ჩამოხმა
მწვანედ აყრილი მთა-ბარი:
გაზაფხულს ხავერდოვანსა
თავს შემოაჯდა ზამთარი.

—

ცხოვრების სინამდვილემა
ხელი შეახო რწმენასა,
ფრთა შეაკვეცა გიჟმაჟი
ოცნების აღმაფრენასა,
ცრემლად დაადნო თვალები
უჩვევნი ცრემლთა დენასა.
ველად გავიჭერ, მოვშორდი
ქვეყნის უკულმართს სრბოლასა,
ველარ გავუძელ მუდამ დღე
სამკვდრო-სიცოცხლო ბრძოლასა,
ობლად დავყარე ფარ-ხმალი
ნაჩვევი რაინდობასა.

—

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
მოვტყდი, მოვხუცდი გრძნობითა,
ლამის დავკარგო გონება
მუდამ დღე მარტოობითა,
ვის რად ვუნდივარ მოხუცი,
ჭაბუკი გარეგნობითა?!

—

„მარტო ვარ, მარტო ვიმღერი“,
ბანის არ ვინ მყავს მთხრობელი,
ჩემს სიბეჩავეს ველარ ჰგრძნობს
ქვეყანა დაუნდობელი...
არ ელალატნოს საწუთროს
სხვა ვინ ყოფილა, რომელი?!

**ლადო ახობაძე.**

* * *

როს დაღამდება, წყვდიადი-ბნელი
ცას ლაჟვარდოვანს გადეკვრის შავად,
როს ბადრი მთვარე ვარსკვლავებს შორის
მიიმალება გულის საკლავად;

—

როს ცა იელვებს და მძლავრი მეხი
საზარის ხმითა დაიგრიალებს;
როს შავი ნისლი დაჰფარავს ცაგს
და მძაფრი ქარი ჰკვნესს და ღრიალებ[ს];

—

როს ცას გააპობს სეტყვა მქუხარე
და ნიავარი მოედვის ველებს;
როს ობოლს წალკოტს, იმედის ბუჩქნარს,
სულ მთლად წალეკავს, გაატიალებს;

—

როს შევიქნები უციცთა მსხვერპლი,
და მოვაკლდები სამშობლო მხარეს;
როს გრიგალ-ქარი ზარით-ღრიალით
ულვთოდ გამითხრის შავ-ბნელ სამარეს,—

—

სატრფოვ გულისავ, გემუდარები,
მომძებნე ბრძოლის ველზე მდებარე
და მომიგონე შენი ერთგული,
ზედ დამაფრქვიე ცრემლი მდუღარე.

**ი. გრიშაშვილი.**

მიდან ალექსანდროპოლსა და სარაკამიშამდე. როგორც ბაქოს გაზეთებს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, გზ. და სამინისტროსთან უკვე გაუმართავთ თათბირი ამის შესახებ. თათბირზე, სხვათა შორის, მიუწვევიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამყვანი ინჟინერი რაზიპორსკი. რაღაც მიზეზით, ხსენებულ ახალ გზის გაყვანის საქმეს ძალზე აჩქარებენ თურმე.

**✦ იარაღი რევოლიუციონერთათვის.** უკვე ვწერდით რომ პეტერბურგში აღმოაჩინეს იარაღის საწყობი. პეტ. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ამ საწყობიდან იარაღს კავკასიაში ჰგზავნიდნენ. ეხლა ბაქოს გაზეთებს ატყობინებენ, რომ იარაღი სპარსელ რევოლიუციონერებისთვის იყო დანიშნულიო.

**✦ ლექციები.** დღეს კავ. საექიმო საზოგადოების სადგომში (ალექსანდრეს ბაღი) წაიკითხავენ ლექციებს: ბავშვებისთვის 12 ს საათზე სომხურად ქ-ნი ფ. ვარდანიანი „ბულბული“ ანდრესენისა; $3^1/_2$-$4^1/_2$ საათზე ქართულად ქ-ნი მუსხელიშვილისა: „წითელი ფარანი.“ ვუჩეტიჩისა; მოზრდილთათვის ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან სომხურ ენაზე საღამოს 5-6 საათზე ექიმი ა. პ. მხითარიანცი, ხოლო 6-7 საათზე ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე განაგრძობს თავის ჩვეულებრივ ლექციებს. კითხვის დროს აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს. შესვლა უფასოა.

**✦ პოლიციელის დაპატიმრება.** როგორც „კასპი“-ს ატყობინებენ, ტფილისში დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში ჩაუსვავთ უბნის ზედამხედველი ცვეტკოვი. მიზეზი ისა ყოფილა, რომ პოლიცმეისტრისთვის „ჩესტი“ არ გაუკეთებია. გაზეთის სიტყვით, ცვეტკოვს ადმინისტრატიულის წესით გადაასახლებენ.

**✦ ქართველ დეპუტატების წამოსვლა.** გაზეთების სიტყვით დეპუტატები გეგეჭკორი და ჩხეიძე სააღდგომო დღესასწაულებისთვის უკვე წამოსულან პეტერბურგიდან.

**✦ საინტერესო განძი.** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემთხვევით შეიძინა ერთი ძვირფასი გრაგნილი მე-18 საუკუნის დასასრულისა, „ქალაქის მოურაობის სარგო“, სადაც 45 მუხლში აღნუსხულია მოურავის უფლება და მოვალეობანი და რაც ბაჟიდან წილი ერგებოდა. უეჭველია, ეს დოკუმენტი, აქამდის უცნობი, ჩვეულებრივი წეს-რიგი უნდა ყოფილიყო ქალაქის მეურნეობისა და გამგებლობისა, თუმცა ნაწერიდან არა ჩანს, როდისა და რომელის მეფის დამტკიცებული ყოფილა. დოკუმენტის შინაარსი მოახსენა საზოგადოებას მისმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა 18 მარტის კრებაზე. იმავე კრებაზე შევიტყვეთ, რომ ხსენებული საისტორიო დოკუმენტი იბეჭდება „საქართველოს სიძველენის“ მეორე ტომში, რომელიც მალე გამოიცემა.

**✦ ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) ვ. ტოტომიანცი წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას კოოპერაციების შესახებ. დღესვე ლექტორი დაბრუნდება პეტერბურგს.

**✦ სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება.** კავკ. სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ამას წინად სთხოვა საზოგადოების საბჭოს განაახლოს ყოველწლიური შემწეობის (500 მანეთის) ძლევა და თავისი ჟურნალი უგზავნოს უსასყიდლოდ განყოფილების წევრებს. საბჭომ უსახსრობისაგამო უარჰყო დახმარება, ხოლო გაზეთის შესახებ დაადგინა, გაეგზავნოს განყოფილების იმ წევრთ, რომელთაც საწევრო ფული შეტანილი აქვთ.

**✦ ჩხრეკა.** გუშინ, 21 მარტს, დილის 10 ნახევ. ნაშუადღევის 1 საათამდე პოლიციამ შეჰკრა სასახლის ქუჩა და გოლოვინის პროსპექტი ბარიათინსკის ქუჩამდე და ჩხრეკას შეუდგა. სჩხრეკავდნენ გამვლელ-გამომვლელთ. უპასპორტოებს აპატიმრებდნენ. წინა დღეს გაჩხრიკეს ლოტკის, ფურიევის და რომანოვსკის ქუჩები. დააპატიმრეს 19 კაცი.

**✦ პოლიციელნი სამართალში.** ტფ. საგუბერნიო სამართველოს დადგენილებით პასუხის გებაში მიცემულ იქმნენ ტფ. პოლიციის მოხელენი: 8 ნაწილის ბოქაული ოქონიანცი, უბნის ზედამხედველნი გუგუშვილი და ლიშკევიჩიუკი; გოროდოვოები მაკუშევიჩი და კუდუხაშვილი და ყოფილი გოროდოვოები დიმიტრი პინდაკი და ილია გონდარენკო.

**✦ ბორის პროზინი.** 15 მარტს მეტეხის ციხეში გარდაიცვალა ახალგაზდა სტუდენტი ბორის პროზინი. პროზინი დაიბადა ტფილისში 1883 წ. და მეექვსე კლასამდის სწავლობდა აქაურ პირველ გიმნაზიაში. 1903 წ. მოსკოვში სწავლობდა, სადაც დატუსაღებულ იქნა სოც.-დემოკრატიულ ლიტერატურით და 4 თვის შემდეგ გადასახლებულ იქნა ქ. სიმბირსკში. 1906 წ. იგი გაემგზავრა ბათუმში, სადაც რამდენიმე ხანს დაჰყო, დაბრუნდა ისევ მოსკოვში და შეუდგა მეცადინეობას ელექტრო-ტეხნიკურ კურსებზე. 1908 წელს დაატუსაღეს ქუთაისის ჟანდარმთა გამგეობის განკარგულებით. ბრალად დასდეს ბათუმის ს.-დემ. სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობა. მოსკოვიდან პროზინი ტფილისში გამოჰგზავნეს ეტაპით, განიხილეს იმისი საქმე სამხედრო სასამართლოში და ოთხი წლის კატორგა მიუსაჯეს. პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, კვირას, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში.

**✦ ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ, 23 მარტს, ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს 20-მდე საქმე.

**✦ საცდელი მინდვრები.** 18 მარტს, მეურნეობის ინსპექტორის ვასილიევის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი აგრონომებისა საცდელ მინდვრების შესახებ.

**✦ სემინარიის შენობა.** ტფ. სასულიერო სემინარიის სადგომი, ქართველ სამღვდელოების შენობა, პუშკინის ქუჩისა, ძალიან მოძველდა. ამას წინად სინოდმა ათას თუმნამდე მოსთხოვა სამღვდელოებას შენობის შესაკეთებლად, მაგრამ სამღვდელოებამ უსახსრობისა გამო უარ-ჰყო ეს წინადადება და დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ვაკეზედ აშენებული სადგომი დაეთმოს სემინარიას. შუამდგომლობა უკვე გაიგზავნა, სადაც ჯერ არს, და თუ მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა, სამღვდელოებას აზრადა აქვს პუშკინის ქუჩაზე საკუთარი სახლი ქარვასლად გადააქციოს.

**✦ ადგილები იჯარით.** ტფ. ქალაქის საჰქომ ნება დართო ქალაქის გამგეობას ნავთლუღში, რეიტერის ქუჩის გაყოლებაზე, საკუთარი ადგილები ნაჭრებად დაჰყოს და იჯარით გასცეს. საჯარო ვაჭრობა ადგილების გასაცემად აღდგომის დღესასწაულების შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში მოხდება.

**✦ გოგოლის დილა.** ტფ. საბალოსნო სასწავლებელში 20 მარტს, ნ. გოგოლის დაბადების 100 წლის თავზე, გადახდილ იქმნა პანაშვიდი და სალიტერატურო დილა. დილა გაიმართა აგრეთვე ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში.

**✦ სეირნობა წ.-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის დადგენილებით, საზოგადოების სასარგებლოდ ჩვეულებრივი ყოველ წლიური სეირნობა ლატარია-ალეგრითურთ გაიმართება კვირას, 3 მაისს. სეირნობა გაიმართება მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებანი ნივთებით ლატარია-ალეგრისთვის უკვე დაიწყო. იმედია, როგორც ტფილისელნი ისე პროვინციელნი დახმარებას გაუწევენ წერა-კითხვის საზოგადოებას და საჰიროო ნივთებს მიაწვდიან.

**✦ ქალის დაჭრა.** 20 მარტს, საღამოს 7 საათზე პეტრე-პავლეს და ლაგოფეხის ქუჩის შესართავთან ვიღამაც რევოლვერით დასჭრა ტფ. მოქალაქის მეუღლე ეკატერინე დანიელიანცი. ეჭვით დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე ნიკოლოოზ ნიკოგოსოვი.

**✦ სამეურნეო ბანკის კრება.** დღეს, 22 მარტს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია წლიური კრება სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრებისა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა. მოხდება აგრეთვე არჩევანი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარისა. ვ. ს. მიქელაძის ნაცვლად. კანდიდატად ასახელებენ თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილს, თავ. ვ. მაჩაბელს, ლ. ჯანდიერს, ვ. რ. ყიფიანს და სხვებს. ამავე კრებაზე აღიძრება საკითხი სამეურნეო ბანკის მოქმედების რეორგანიზაციის შესახებ.

**✦ „ტფ. სობრანიეს“** საკონცერტო დარბაზში დღეს, 12 საათისთვის, დანიშნულია წლიური კრება ტფ. საურთიერთო ბანკის წევრებისა.

20 მარტს ანდრონიკოვის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ოსებ ტორთოშელიძე და არაქელ გისხმანოვი, რომელთაც მცარცველ - შანტაჟისტების ბრბოს წევრობას აბრალებენ.

**✦ „იალქანი“** დღეს გამოვა ჟურნალი „იალქანი“ (№ 2), შემდეგის შინაარსით: „ბალკანეთის საქმეების გამო“. „პროფესიონალური და პარტიული ინტერესები“, ლ. კანდელისა. „ნ. ვ. გოგოლი“. სახელმწიფო დუმაში“. „ამონაკვნესი“, ლექსი ლ. დარჩიასი. „materialismus militans“, გ. პ.—ისა. „კარლ მარქსის ეკონომიური პრობლემები“, შვარცისა. შინაური ამბები. რუსეთის ცხოვრება“. უცხოეთი. კაპიტალისტური კონცენტრაცია“ „მუშათა შორის“, იავნანასი. პროვინცია. მოწოდება. წერ. რედაქციისადმი.

**✦ „ყანა“.** 22 მარტს გამოვა მეორე ნომერი სალიტერატურო-სამეცნიერო ალმანახისა „ყანა“, შემდეგის შინაარსით: „შინაური ხასი“, „რა არის საჰიროჲ“ „სამწუხარო ეპიზოდი მე-80 წლების განმანთავისუფლებელ მოძრაობიდან“. „იმედები ბურჟუაზიაზე“. „ფიქრები“. რუსეთის ცხოვრება. „კაცობრიობის განვითარების მოკლე ისტორია“. მოთხრობა „ქართველი დედა“ და ლექსები.

**✦ „ფასკუნჯი“.** გამოვიდა „ფასკუნჯის“ მე-12 ნომერი შემდეგის შინაარსით: ი. ჭავჭავაძის „ქართლის ნანა ქართლის აკვანზე“. გ. ტაბიძის „ფიქრი“. ვ. ბაგრატიონის „ჩაგრული“. დ. ლუკაშვილის „დღეობაში“. ვ. შალიკაშვილის „დიმიტრია მეიშვილი“. „ჰაინეს „ჩრდილოეთის ზღვა“, თარ. ა. სარაჯიშვილისა. კ. ყიფიანის „ჩემი არტისტობის თავ-გადასავალი“. სიტყვას „დღიური“. ო. კრაკის „საუბარი ხელოვნების შესახებ“. ახალი ამბები.

---

**სურათებიანი დამატება.** „დროების“ დღევანდელ სურათებიან დამატებაში უადგილობისა გამო ყველა დამზადებულ სურათს ვერა ვბეჭდავთ.

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის აგების გამო.**

ორ თვეზე მეტია, რაც დაიწყო ეგნატეს ძეგლის ასაგებად ფულის მოგროვება, მაგრამ ისე ზანტად და კაპეიკობით იკრიბება, რომ ამ ხნის განმავლობაში 250 მანეთამდე ძლივს შემოვიდა. ეს იმით აიხსნება, რომ წვლილი უმეტესად გროვდება ღარიბ მუშა ხალხ შორის; ხოლო ინტელიგენცია და საზოგადოდ ისინი, ვისაც შეძლება აქვს, ამ ფონდისათვის ფულს ვერ იმეტებენ. ეს მაშინ, როცა ციხის ოთხ კედელშუა გამომწყვდეული პოლიტიკური ტუსაღები და ჯარისკაცები, რომელთაც (ჯარისკაცებს) თვეში ორი აბაზი ჯამაგირი აქვთ, აგროვებენ თავიანთ შორის უკანასკნელ კაპეიკებს და ჰგზავნიან ეგნინოშვილის ფონდის გასაძლიერებლად.

მართალია, ეგნატე ღარიბ, ჩაგრულ ხალხის ინტერესების გამომხატველი და მათი „გულის მესაიდუმლე“ იყო და ამიტომ მისი ძეგლის აგებაზედაც უმეტესად ღარიბი ხალხი ზრუნავს, მაგრამ ნუ თუ ეს საბუთს აძლევს შეძლებულ და თან შეძლებულ პირთ ტუსაღებთან და ჯარისკაცებთან ერთად არ გაიღონ მრავალ-ტანჯულ ნიჭიერ ბელეტრისტის ძეგლის ასაგებად?!

კულტურულ, განათლებულ ქვეყნებში ასე როდის: იქ, არა თუ ძეგლს ადგამენ დამსახურებულ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს, არამედ მათთვის განსაკუთრებული სასაფლაო აქვთ, ერთგვარი პანთეონიც-კი აქვთ, სადაც ასაფლავებენ მხოლოდ ქვეყნისათვის ჭეშმარიტებისთვის მებრძოლ მუშაკთ.

ჩვენი მწერლების ნაშთები კი ისე უპატრონოდ და უპატივცემულოდ არის აქაიქ მიფანტულ-მოფანტული, რომ ძალიანაც გინდოდეს მათის საფლავების ნახვა, ვერ მოახერხებ, რადგან ვერ გაიგებ, ვინ სად არის დაკრძალული. წინადაც ბევრჯელ თქმულა და ეხლაც ვიტყვი, რომ დროა ჩვენ განსვენებულ მოღვაწეთა საფლავებს თავი მოუყაროთ. გავიჩინოთ ერთი ადგილი, სადაც მომავალშიაც დავასაფლავებთ ყველა იმათ, ვინც საზოგადო საქმისთვის იღვწის და მუშაობს. ღარიბები ვართ, ძვირფას ძეგლებს ვერ მოვახერხებთ, მაგრამ მარტივ და უბრალო სასაფლაოს მოწყობა-კი შეგვიძლიან. დროა მივბაძოთ განათლებულ ხალხის მაგალითს, შევიძინოთ საქართველოს დედა ქალაქს ტფილისში თუ სხვაგან არა, ქალაქს გარედ მაინც ადგილი და მოვუ[illegible] ასეთი სასაფლაო ჩვენის მწერლებისა და მოღვაწეების ნაშთებისათვის. ნელნელა, შეძლებისა დაგვარად დავადგამთ ყველას იაფფასიან ძეგლს შესაფერის წარწერით. აი მაშინ ეგნატეს ნაშთიც ამ საზოგადო მოღვაწეების სასაფლაოზე იქნება გადმოსვენებული გურიიდან.

ას საქმეში, რათქმა უნდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პარტიობას და მიმართულებას. ამიტომ თუ კი შეერთებულის ძალით მოვინდომებთ და ერთმანეთს დავეხმარებით, არც ისე ძნელი იქნება ამ სიმპატიური საქმის სისრულეში მოყვანა. **ს. თ—ძე.**

---

# სპარსეთის ამბები

**ასტარა.** 18 მარტი (წერილი ასტარიდან). ჯერაც არ დამცხრალა ხმები გუბერნატორის მეთაურობით ჯარის მოსვლის შესახებ რადგან ეს გუბერნატორი მართლაც სცდილობს შეაგროვოს ჯარი და წამოვიდეს ასტარის და რეშტის დასამორჩილებლად, ამიტომ უსეინ-ალი-ხანს მოუვიდა 12 კაცი, რომელთაც რეშტიდან მოუტანეს ორი ყუთი ყუმბარა, ერთი ზარბაზანი, ათი ყუთი პატრონა, კარგის სისტემის თოფები და ბევრი მაუზერის რევოლვერი. შაჰის მომხრენი, კონსერვატორები ხმას ავრცელებდნენ უსეინ-ალი-ხანზე თითქოს იგი ასტარის მაღალში მოქმედებდეს სრულიად დამოუკიდებლად სათარხნისა თავის სასარგებლოდ. 18 მარტს უსეინ-ალი ხანს სათარხნისაგან, ნიშნად რიგიანის სამსახურისა და მეთაურობისა, მოუვიდა ორდენი და აგრეთვე წერილი[illegible] მადლობით. ორდენი მიიღო ს თარხანისაგან აგრეთვე კიარგიარუდის პროვინციის მართველმა აღაჯან-ხანმა. ორდენზე აწერია შემდეგი: „თავდაუზოგველ მეომარს დაჩაგრულ ხალხისათვის“. აქეთ ხმა დადის, რომ ამ ცოტა ხანში რუსეთი და ინგლისი გაიყოფენ სპარსეთსაო.

**ასტარელი.**

---

**შაჰის გაკერპება.**

„ნოვ. რუს“-ის კორესპონდენტი იუწყება: „შაჰმა დააგირავა თავისი გვირგვინი და ძვირფასი ნივთები და გაჰყიდა ბიბლიოთეკა; დიდს გაჭირვებაშია ირანის მბრძანებელი, მაგრამ მაინც არა ტყდება, მაინცა არ იძლევა კონსტიტუციას.

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი სწერს: „კონსტიტუციის აღდგენაზე ჩამი ჩუმიც აღარ ისმის თეირანში. შაჰს სიტყვა კონსტიტუციის გაგონებაც კი საშინლად აბრაზებს.

**ინგლისის საელჩოს მოთხოვნა.**

ინგლისის საელჩომ 16 მარტს მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას, რომ თეირანის ვიცე გუბერნატორი მეფახრულ-მულკი დაუყოვნებლივ გადააყენონ სამსახურიდან და სამართალში მისცენ, რადგან გამოძიებამ გამოარკვია, რომ მუშტეიდების დახოცვა შაჰ-აბდულ-აზიმში ამ ვიცე-გუბერნატორის მოწყობილი ყოფილა.

**სპარსელი „აზეფი“.**

გამოირკვა, რომ შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში სხვებთან ერთად მოკლულ იქნა მთავრობის მიერ მირზა-მუსტაფაც, რომელიც თურმე განზრახ, მთავრობის თხოვნით, ჩაჯდა ბესტში იმ აზრით, რომ იქ აზეფის როლი შეესრულებინა. მაგრამ მკვლელებმა ღამე ვეღარ იცნეს იგი და მუშტეიდებთან ერთად ისიც მოჰკლეს.

მირზა-მუსტაფა მეტად მდიდარი იყო: წელიწადში 12 ათას მანეთს პენსიას იღებდა და ამას გარდა, თავის მამისაგანაც მილიონის ქონება დარჩა.

---

# ბალკანეთი

**კარაგიორგიევიჩების დინასტია.**

კარაგიორგიევიჩების დინასტიის დამფუძნებელი იყო სერბიელი გლეხი გიორგი პეტროვიჩი, რომელსაც მეტ-სახელად ერქვა შავი-გიორგი, ანუ ოსმალურად კარა-გიორგი. ეს სახელი პეტროვიჩს იმაზე დაარქვეს, რომ მან 1787 წელს მოჰკლა თავისი მამა. ზოგი ამბობს, კარაგიორგიმ იმისთვის ჩაიდინა ეს საზარელი ბოროტმოქმედება, რომ მამა არ მიემხრო აჯანყებას ოსმალეთის წინააღმდეგო, ხოლო თითონ კარაგიორგი ერთ-ერთი მეთაური იყო ამ აჯანყებისა (მაშინ სერბია ოსმალეთის უღელ ქვეშ იყო). მაგრამ კარაგიორგევიჩის მომხრეები ირწმუნებიან, რომ კარაგიორგიმ იმისთვის მოჰკლა მამა, რომ იგი ოსმალებთან დაბეზღებას უპირებდა თავის შვილს, როდესაც ის აჯანყებას ამზადებდაო.

შემდეგ უკვე აჯანყების დროს კარაგიორგიმ ჩამოახრჩო თავისი ძმა, მიზეზი ამ მკვლელობისა ცხადად არ არის გამორკვეული; საზოგადოთ კარაგიორგი მეტად თავაშვებული, ჰირვეული და მოსისხლე კაცი იყო.

1806 წელს სერბიის საერო კრებამ კარაგიორგი აირჩია სერბების „კომანდატად“ (უფროსად), რადგან იგი ძლიერ მხნედ ებრძოდა ოსმალებს. 1813 წელს, ზედი-ზედ დამარცხების შემდეგ, კარაგიორგიმ მიწაში ჩაფლა თავისი სიმდიდრე და საზღვარ-გარეთ გაიქცა. 1817 წელს იგი ისევ დაბრუნდა სერბიაში, მაგრამ მისმა მეტოქემ მილოშ ობრენოვიჩმა, სერბთა მეორე დანასტიის დამფუძნებელმა, მოაკვლევინა იგი და მისი თავი ოსმალეთის სულთანს მახმუდ მეორეს გაუგზავნა.

სერბიის ტახტზე მთავრის ტიტულით ავიდა მილოშ ობრენოვიჩი, მაგრამ იგი 1839 წელს სერბებმა ჩამოაგდეს ტახტიდან. 1842 წ. მისი შვილი მიხეილიც ჩამოაგდეს ტახტიდან და მთავრად გამოაცხადეს კარაგიორგის ვაჟიშვილი ალექსანდრე კარაგიორგევიჩი, რომელიც მანამდე იყო თავის მამის მკვლელ მილოშის ადიუტანტად და მისგან პენსიას იღებდა: ობრენოვიჩები ემხრობოდნენ რუსეთს, ხოლო ალექსანდრე სხვა პოლიტიკას დაადგა: მან არჩია ავსტრიისა და ოსმალეთის მეგობრობა. ალექსანდრემ ისე აალელვა სერბია, რომ იძულებული იყო აჯანყებულ ხალხს გაჰქცეოდა: იგი ჯერ დაიმალა ბელგრადის ციხეში, რომელიც მაშინ ისევ ოსმალების ხელში იყო, და მერე იქიდან ავსტრიაში გაიპარა. სერბიის საერო კრებამ ტახტიდან ჩამოაგდო იგი და სერბიის ტახტზე აიყვანა ისევ ობრენოვიჩები; ჯერ მილოშ I ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მიხეილ III.

1860 წ. მიხეილ III მოჰკლეს ბელგრადს ახლო ტოპჩიდერის სასახლეში, სერბიის სასამართლომ ალექსანდრე კარაგიორგიევიჩი იცნა ამ მკვლელობის მომწყობად და 20 წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა ალექსანდრეს, რომელიც ამ დროს ჰუნგრეთში იმყოფებოდა. ჰუნგრეთის სასამართლომაც გაარჩია ეს საქმე და ალექსანდრეს 8 წლით დაპატიმრება გადუწყვიტა. ალექსანდრემ მოიხადა კიდეც ეს სასჯელი. იგი გარდაიცვალა 1885 წელს.

მისი ვაჟიშვილი პეტრე, (დაიბადა 1845 წ.) ეხლანდელი მეფე სერბიისა, 1903 წელს გამოაცხადეს მეფედ, ჯერ სერბიის ჯარმა, შემდეგ საერო კრებამაც. მის წინ სერბიის მე-ფედ იყო ობრენოვიჩების უკანასკნელი წარმომადგენელი მეფე ალექსანდრე პირველი, რომელიც შეთქმულებმა [illegible] კლეს. ცხადია, [illegible] პეტრეც [illegible] არა, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ მან დიდხანს ვერ გაბედა სამსახურიდან დათხოვნა ალექსანდრეს მკვლელ აფიცრებისა.

მისმა ვაჟიშვილმა და მემკვიდრემ გიორგიმ (დაიბადა 1887 წ.) ბოლოს დროს მეტად შეაყვარა სერბებს თავი: მან პირველმა აღიმაღლა ხმა ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიის წინააღმდეგ და ომის ქადაგება დაიწყო მტაცებელ ავსტრიის წინააღმდეგ. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთო“, ამბობდა იგი. შემოდგომაზე იგი პეტერბურგში წავიდა ბოსნია-ჰერცოგოვინას საქმეზე მოსალაპარაკებლად, დიდის იმედებით დაბრუნდა იქიდან და შემდეგ უფრო მხნედ შეუდგა აგიტაციას ავსტრიის წინააღმდეგ: იგი მეთაურობდა ომის მომხრე პარტიას სერბიაში. მაგრამ მემკვიდრე თავის წინაპრებვით მეტად ფიცხი, თავაშვებული და ჰირვეული ყმაწვილი კაცია. მას დააბრალეს თავის კამერდინერის კოლაკოვიჩის მოკვლა და თავის უფლებაზე უარი განაცხადებინეს. თუმცა ოფიციალურად ირწმუნებიან, რომ კოლაკოვიჩის სიკვდილი უბრალო შემთხვევით აიხსნებაო, მაგრამ სერბიულ პრესის ნაწილი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ კამერდინერის სიკვდილი ნამდვილად მემკვიდრის ბრალიაო. სერბიული გაზ. „ზვონო“ სწერს: მემკვიდრე გიორგი იქნება სადმე ბარბაროსულ ქვეყანაში ყაჩაღთა ბელადად გამომდგარიყო, მაგრამ იგი სრულიად არ ვარგა კონსტიტუციონურ სახელმწიფოს მეთაურადაო.

მის მაგივრად მემკვიდრედ გამოაცხადეს მისი ძმა ალექსანდრე.

**სერბიის მეფის ტახტიდან გადადგომა.**

სერბიის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა ნაციონალისტების კლუბში: მეფე პეტრეს ტახტიდან გადადგომა სწადიანო.

ამბობენ, სერბიის მეფე იმ პირობით გადადგება ტახტიდან, რომ მას ყოველწლიურად 250 ათასი ფრანკი დაუნიშნონ პენსიადო.

**ინგლისელ პრინცის კანდიდატურა.**

ბელგრადში ამ წამს გაძლიერებული აგიტაციაა გამართული, რომ სერბიის ტახტზე აიყვანონ ინგლისელი პრინცი არტურ კონაუტელი. პრინცის სურათებს ათასობით ავრცელებენ ხალხში.

---

# მუშების ცხოვრება

**რკინის გზის მთავარი სახელოსნო.** ბევრი რამ დაწერილა გაზეთებში მთავარ სახელოსნოსა და იქაურ მუშებზე, მაგრამ არც ერთხელ ხმა არ ამოუღიათ ჩამომსხმელთა ამქრის მომუშავეებზე, თუმცა სხვებზე უფრო ყურადღების ღირსნი ესენი არიან. ჩამომსხმელთა განყოფილებაში არიან განვითარებული, შეგნებული პირები, რომელთაც შეუძლიათ ასწონ-დასწონონ ყველა საჭირ-ბოროტო საკითხი. მუშებს იმედი ჰქონდათ, რომ ესენი ამოიღებდნენ ხმას, მაგრამ ესენიც სდუმან, ალბად იმიტომ, რომ თითონაც დიდი დანაშაული მიუძღვით.

გაზეთ „ჩვენი ხმის“ მე-12 ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ კულაშვილის წერილი. ავტორი მოსთქვამს და გოდებს მუშების დაქვეითებაზე, უმართლო მოქმედებაზე და დასძენს, რომ მუშები თავიანთ ხელით სთხრიან საფლავს ითხრიანო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, როგორ იქცევა თვითონ ბ-ნი კულაშვილი, ეს ნდობით აღჭურვილი პირი, ვისგანაც ჯერ არს? აქვს თუ არა მას უფლება სხვას უსაყვედუროს ის, რაშიაც თვითონ მიუძღვის ბრალი? ყური დავუგდოთ ბ-ნ კულაშვილის ბრალდებებს. იგი ამბობს, რომ მუშები დაბრმავებულნი არიან „აკორდის“ ღებითო („აკორდი“ ჰქვიან ნაჭრით მუშაობას— ზე[illegible]ის გა[illegible]

ბას). ვთქვათ, რომ ეს მართალია, მაგრამ, ჯერ ერთი, მუშები საქმეს შეერთებულნი აკეთებენ და არა ცალკე, თითო. ბ-ნი კულაშელი უშლიდა თუ არა მუშებს ზედ მეტ მუშაობას? არა. პირ-იქით წინააღმდეგაც იქცეოდა, და აი როგორ. რამდენიმე ხნის წინად ბ-ნი კულაშელი მუშაობდა საქმეზე და კარგ ჯამაგირს იღებდა. არ დაჰკმაყოფილდა ამას, დაეთხოვა უფროსს ერთომდა დასასვენებლად, წავიდა ბათუმში ძმასთან, რომელსაც იქ დიდი ადგილი ეჭირა, და ერთი-ორად აიღო ფული. რა არის ეს, თუ არა სიხარბე?

გავიხსენოთ ეხლა მახლობელი წარსული. მოგეხსენებათ, სამუშაოზე ბევრს უგვიანდება. ბ-ნმა კულაშელმა წინადადება მისცა მუშებს, აერჩიათ ყურის მგდებელი კაცი. არჩეულ იქმნა თვითონ კულაშელი. ამ უფლებით მან ჩაიგდო ხელში სხვა უფლებაც, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, მაგალითად: საათების დაკლება იმათთვის, ვინც დაიგვიანებდა („კანტორშჩიკის" საქმე); საქმის მიცემა ხელოსნისთვის (ბრიგადირის მოვალეობაა); ნივთების ყარაულობა და წასვლის დროს თან გაყოლა (ყარაულის საქმეა); ქურდის დაჭერა და დათხოვნა (ჟანდარმის საქმეა). ამას გარდა ყოფილა შემთხვევა, რომ მუშას ცოტა დაუგვიანია, მაგრამ მას ვერ გაუგია და სამუშაო სულ სხვისთვის მიუცია. ნამუშევარსაც კი არ აძლევდა ხოლმე, თუ შეატყობდა, რომ ცოტა იყო ნამუშევარი. გარდა ამისა ბ-ნი კულაშელი წინად სხვა ბრიგადაში მუშაობდა, სადაც „აკორტს" ვერ აკეთებდა. იმდენი იმუდარა, რომ მოახერხა იქ გადასვლა და მუშაობა, სადაც მეტს აიღებდა. აქაც შემცირდა სამუშაო (აკორტი) და გადავიდა სხვაგან იმ განზრახვით, რომ მეტი ფული აეღო. ვერ მოითმინეს მუშებმა და ბოლოს გადააყენეს კულაშელი კამისიონერობიდან. ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის რას ჩაიდენდა.

ყველა ამის მომქმედი ბ-ნი კულაშელი მუშებს უსაყვედურებს, ზედ მეტს რად მუშაობთო! იგი ქურდობას სწამებს მუშებს. ყველასთვის ცხადია, რომ ქურდობა ადამიანის დამამცირებელია, მაგრამ კულაშელი რას გააწყობს იქ, სადაც ყველაფერი ამ სისტემაზეა აგებული და სადაც დიდით-პატარამდე მიწამლულია ამ სენით. საჭიროა, სათავეში მოისპოს ეს სენი, თორემ შედეგს რამდენიც უნდა უსაყვედუროთ, ვერას გახდებით. ყველა ამითი მე იმისი თქმა არ მინდა, რომ მე მომხრე ვიყო ან ქურდობის ან ზედმეტ მუშაობისა, პირიქით, მე დიდი წინააღმდეგი ვარ და მხოლოდ ის მიკვირს, რომ ის პირები, რომელიც სხვებს უსაყვედურებენ, თვითონ აკეთებენ ასეთ საქმეს. საჭიროა ვიცოდეთ როგორ მოქმედებს თვითონ კულაშელი. ხშირად ამბობს ხოლმე, რასაკვირველია, როცა ეს იმისთვის საჭიროა, რომ არაფერია ისეთ ნივთების წაღება, რომელიც იაფია, მაგრამ ოჯახისთვის კი საჭიროა, მაგალითად: შამფურისა, დანისა, ჩარჩოებისა და სხვა. რა არის ეს? განა ამაების წამღები ქურდი არ არის?

დასასრულ, ერთი მაგალითიც. წინად იყო ხოლმე ჩვეულება, ვისაც ჯამაგირს მოუმატებდნენ, ფული უნდა დაეხარჯა. ეს ჩვეულება განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მოისპო, მაგრამ ეხლა ისევ გაჩაღდა. ორს შაგირდს ჯამაგირი მოუმატეს და აიძულეს ხალხი დაეპატიჟნა. რასა შვრებოდა მაშინ კულაშელი, ეს მუშების ინტერესების დარაჯი? არაფერს. ამბობდა, მე რა საქმე მაქვს თუ იმათ ფული დახარჯესო. ასე იქცევა ბ-ნი კულაშელი თვითონ და სხვებს კი უკიჟინებს.

**იქაური თო—ჩი.**

## რუსეთი

✦ **პროვოკაციის ისტორია.** ბ-ნ იზგოევი თავის წერილში „პროვოკაციის ისტორია" სხვათა შორის მოგვითხრობს ოდესის 1905 წლის „პოგრომის" ამბავს. იზგოევი მაშინ გაზეთ „იუჟნ. ობოზრ."-ს გამგედ ყოფილა. «18 ოქტომბერს (17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის მეორე დღ. ხო). სწერს იზგოევი, ვიღაცის ბრძანებით, ოდესის ქუჩებიდან პოლიციელნი გაჰქრნენ. ჩვენ, რედაქციაში ვგრძნობდით, რომ რაღაც უბედურება მზადდებოდა. ასე სამი საათი იქნებოდა, რომ რედაქციის პირდაპირ, ტრაქტირში ფანჯრები მიჰკეტეს; სჩანდა, რომ იქ რაღაც მზადდებოდა. მალე ტრაქტირიდან ხალხი გამოვიდა, მათში გადაცმული „გოროდოვოებიც" ერივნენ. საღამოს 7 საათზე დალნიცის უბნიდან ამბავი მოვიდა, ებრაელების აწიოკება დაიწყოვო. მიუხედავად ასეთ ცნობებისა, პოლიცია მაინც არა სჩანდა. ხალხი სულ მიიმალ-მოიმალა. ყველაზე ძალიან, რა თქმა უნდა, ებრაელები შეშინდნენ. ებრაელმა ყმაწვილმა კაცებმა სტუდენტების დახმარებით პოლიციის მაგივრად თავიანთი დარაჯები დააყენეს ქუჩებში. ამ დარაჯებმა დაატუსაღეს რამდენიმე გადაცმული პოლიციელი, რომელნიც ხალხს ურჩევდნენ, ებრაელები დააწიოკეთო». მეორე დღეს, 19 ოქტომბერს, უკვე დაწყებულა „პოგრომი". იზგოევი და «იუჟნ. ყიზ.»-ს ოფიციალური რედაქტორი გენერალ კაულბარსთან წასულან და უთხოვნიათ დახმარება. გენერალს იმედი მიუცია. მიუხედავად ამისა, «პოგრომი» გაჩაღებულა. პოლიციელები სულ მიმალულან. ამწიოკებლებს პირველად «იუჟნ, ყიზნ.»-ს კანტორა აუკლიათ. „ვიღაც ახალგაზდამ რედაქციის კანტორასთან რევოლვერი გაისროლა. „კანტორიდან გვესვრიან"-ო და იგრიალა ხალხმა. ხალხი კანტორაში შევარდა. მსროლელი ახალგაზდა სადღაც მიიმალა. კანტორის მოსამსახურენი და ასოთ-ამწყობნი გაიქცნენ, ზოგი სად დაიმალა, ზოგი სად. ბრბომ ერთ წამში შილეწა კანტორის კარები; რაც კი რამ ავეჯეულობა, წიგნები, ან ქაღალდები იყო სულ ერთიანად გაანადგურა, «ენციკლოპედიური სლოვარი» სულ ლუკმა-ლუკმად აქცია. მალე გაისმა ხმა, «ჯარი მოდისო» და ამწიოკებლები სულ მიიმალნენ. ჯარი მართლაც მოვიდა და... კანტორის სადგომს დაუწყო სროლა"... იზგოევს, ორი წლის შემდეგ, სხვათა შორის, სენატორ კუზმინსკის ანგარიში წაუკითხნია, მაგრამ სენატორის ანგარიშში სულ სხვანაირად ყოფილა ფაქტები აღწერილი.

✦ **თვით-მკვლელობა.** გაზეთ „სლოვოს" სიტყვით, ამ უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში პეტერბურგში 48 კაცს მოუკლავს თავი.

✦ **ახალი უნივერსიტეტი.** რუსეთის გაზეთების ცნობით საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს უნივერსიტეტი დაარსოს ქალაქ ვილნოში.

✦ **სასულიერო აკადემიებში.** როგორც ვწერდით, სინოდმა სასულიერო აკადემიებს ავტონომია წაართვა და ზოგიერთი პროფესორი გადააყენა, ზოგიც გააფრთხილა. სასულიერო აკადემიებისათვის მთავარ-ეპისკოპოსს ანტონის უკვე შეუმუშავებია ახალი წესდება. ადმინისტრაციის უმაღლეს წრეებში ანტონის პროექტი ძალიან მოსწონებიათ. საინტერესო ისაა, რომ სანამ ეს პროექტი დამტკიცდებოდეს იმეთ საგნების პროფესორებს, როგორიც არის გომილეტიკა, ღვთისმეტყველება და სხვა, წინადადებას მისცემენ მღვდლად ეკურთხნენ.

✦ **ოდესის გენ.-გუბერნატორი ტოლმაჩევი.** ოდესის გენერალ-გუბერნატორს, ჩვენში მეტად ცნობილს, ტოლმაჩევს, გაზეთების ცნობით, პეტერბურგის გრადონაჩალნიკად ნიშნავენ.

✦ **საგენერალ-გუბერნატოროების გაუქმება.** უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, გააუქმოს მოსკოვის, ვილნოს და ბალტიის მხრის საგენერალ-გუბერნატორები. პირველად გააუქმებენ ბალტიის მხრის საგენერალ-გუბერნატოროს და გენერალ-გუბერნატორს მელლერ-ზაკომელსკის, საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმების შემდეგ, დანიშნავენ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორად. მოსკოვისა და ვილნოს საგენერალ-გუბერნატოროებს აპრილში გააუქმებენ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში—3, უფაში—1, კამენეც-პოდოლსკში—2, კიევში—1, მოსკოვში—1, ხარკოვში—2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ვილნოში—1, ეკატერინოსლავში—1, ხარკოვში—2, მოსკოვში—2 კაცი.

## განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—32)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—54)

◀ბავშვებისათვის საახ. დღეობო საჩუქარი▶
ამ კვირაში გამოვა ორი სახალხო ზღაპარი ფერადი სურათებით
1
**„მამაცი მგზავრები"**
ფასი 25 კაპ.
2
**„მშიერი მგელი"**
ფასი 10 კაპ.
იყიდება წერა-კითხვისა და ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში. მთავარი საწყობი: Тифлисъ, книжный магазин „Общества Грамотности". ვინც ათობით გამოიწერავს საწყობიდან, დაეთმობა 20%, გზის ხარჯი მყიდველისაა. (10—154—4)

**იყიდება** ხელ მისაცემ პირობებში
ჯანმრთელ ალაგას ახლად აშენებული სამ სართულიანი სახლი ბანკის ვალით. წლიური შემოსავალი 600 მანეთი აქვს.
პირობების გაგება შეიძლება მიხაილოვის ქუჩაზე, № 82, პარიკ. **დავით გაბრუაშვილთან.** (3—ნ.—3)

**სამკურნალო**
[illegible]
ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.
[illegible] N 78, [illegible] პირდაპირ.)
**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ. მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—22)

**სადღესასწაულო იაფი ვაჭრობა!**
**დ. ე. ეგანოვის**
დებო ლამპებისა და ჭურჭლეულობისა, სალდათის ბაზარი (იარმუკა), სომხის სემინარიის პირდაპირ.
მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულია დიდ-ძალი ჭურჭელი სასუფრო, ფაიფურისა, ფაიანსისა და მრავალი სხვა. სპილენძის სამოვრები და სამზარეულოს ყოველ-გვარი ჭურჭელი.
**დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ე ბ ი ს ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ.**
**სტაქნები და თეფშები** მარტო ამ იაფობის დროს გაიყიდება 12 ცალი 50 კაპიკიდან დაწყებული და უფრო ძვირად. ფასები ყველა საქონელზე მეტად იაფია. გთხოვთ თითონ დარწმუნდეთ.
(2—ნაძვ.—2) პატივისცემით **დ. ეგანოვი.**

**КОНЬЯКЪ О. С.**
**Д. З. Сараджевъ.**
Тифлисъ.
Главная Контора обращаетъ вниманіе любителей на этотъ, вновь выпущенный, „**ОЧЕНЬ СТАРЫЙ** коньякъ". (4—158—2)

**I მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ **I მანეთიდან**
**● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●**
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიაჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (1—გაჟ.—17)

**პროვოდნიკის**
1897 წ. 1888
1908 წ.
**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**● იყიდება ნარდად და ცალობით ●**
**რეზინის საქალამნე შინები,**
**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),
**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**
**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**
„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების**
**„პ რ ო ვ ო დ ნ ი კ ი"-სა**



საქციონერო საზოგადოება
**„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი"**
ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,
ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე—ხმის ამომცემზე, რომ **ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.**
**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**
საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი
**„მწერავი ანგელოზი".**
მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი", როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.
აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100 მან. და უფრო ძვირიც: ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ.ნ. და უფრო ძვირი.
ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპლექტები ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.
**მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი, რომლებისაც სრული კომპლექტებია:**

| **საოპერეტო:** | **საოპერო:** | **საცეკვაო:** |
| --- | --- | --- |
| „ღ ა მ უ რ ა" | „ფ ა უ ს ტ ი" | „შაკონ" |
| „მხიარული ქვრივი" | „რუსლან და ლიუდმილა" | „ჩ ი ნ უ რ ი" |
| „პრინცესსა დოლარებისა" | „პიკოვაია დამა" | „ლეკური" |
| | „ევგენი ონეგინი" | ცეკვა „ზეც" და სხვა. |

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.
**პრეისკურანტები,** კატალოგები, სიები, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.
მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.
**მაღაზიასთან სახელოსნოა. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.**
(10—ხალ.—7)


სტამბა „[illegible] თლ", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**